მედინსერვი

№ 1-01/44
21 მარტი 2020წ.

27.03.2020
9:10

საერთაშორისო ორგანიზაციები ტერიტორიებიდან მოვნილია
ბრუნვის, ვანგრილებოვნისა და სოციალური დაცვის საინსპექტორო

15 05

030169934598419

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის
რეგულირების სააგენტოს დირექტორს
ბ-ნ ზ. კაპანაძეს

ბატონო ზაალ,

თქვენი წერილის (№02/3965 20.03.2020წ.) პასუხად მოგახსენებთ, რომ ჩვენ გაცნობილი ვართ როგორც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებას, ასევე ამავე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 16 მარტის №540 განკარგულებასაც.

სწორედ აღნიშნული განკარგულებით, ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, შეზღუდულია <u>გარკვეული (და არა ყველა სახის)</u> ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოდან რეექსპორტი (ანუ ისეთი ფარმცევტული პროდუქტის რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შექმნილ ეპიდსიტუაციაში).

საქართველოს მთავრობის ასეთი გონივრული მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადგილობრივმა კომპანიებმა მინიმიზირება მოახდინონ იმ გარდუვალი ზარალისა რასაც ისინი მიიღებენ შექმნილი მდგომარეობით (არ შეაჩერონ დასაქმებულებზე ხელფასების გაცემა, მათი უხელფასო შვებულებაში გაშვება ან განთავისუფლება და ა.შ.).

ჩვენმა კომპანიამ გაანალიზა რა მის ხელთ არსებული პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი, ითხოვა მხოლოდ გერმანული ფირმა „ბიონორიკა"-ს ფიტო (მცენარეული) პრეპარატების (რომლებიც არცერთ გაიდლაინში არ შედის) და გასტროენტეროლოგიაში გამოსაყენებელი კათეტერების გასაპოხი გელის ავსტრიული პრეპარატ „კატეჯელი"-ს რეექსპორტი, რომლის დღეისათვის არსებული მარაგი 4-5 - ჯერ აჭარბებს საქართველოს წლიურ მოთხოვნას.

ის რომ აღნიშნული პრეპარატები ვერაფერს შემატებენ კორონავირუსით გამოწვეულ ეპიდემიასთან ბრძოლის საქმეს, ყველა ექიმი-ინფექციონისტი დაგიდასტურებთ, ხოლო მათი რეექსპორტის აკრძალვა რომ გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს ჩვენს კომპანიას ამაზე წინა წერილშია (№1-01/43 18.03.2020წ.) აღნიშნული. არც ის გარემოება უნდა გამოირიცხოს, რა იმიჯს შეუქმნის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას აღნიშნული პროდუქტების გატანის აკრძალვა უცხოელი პარტნიორების თვალში და ეს იმ დროს როდესაც ყველა აღიარებს თუ რამდენად ორგანიზებულად და ეფექტურად აწარმოებს საქართველო კორონავირუსის ეპიდემიასთან ბრძოლას.

სააქციო საზოგადოება
კლინიკა „მედინსერვი"
ი.ოქრ. 4 ილიბალიანი დგიმიტრაძის ქ. №1

ტელ: (995 32) 295 15 53
ტელ/ფაქსი: (995 32) 295 10 90
ელ.ფოსტა: medinserv@medinserv.ge

და ბოლოს, იმედს გამოვთქვავთ, რომ გადახედავთ თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ნებას დაგვრთავთ ზემოაღნიშნული პრეპარატების რეექსპორტის განხორციელებას.

ჩვენის მხრიდან მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წარმოგიდგინოთ დამატებითი მასალები.

პატივისცემით,

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

პროფ. გურამ ჯავახაძე